

შპს არგო

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება/ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7
1. შესავალი	7
2. სააღრიცხვო პოლიტიკა	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	11
4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები	12

ფინანსური ანგარიშგებები

შპს "არგო"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2019

	შენიშვნები	31.12.2019	31.12.2018
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	5,693	59,511
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	129,115	214,250
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	2,477	16,777
საგადასახადო აქტივი		29,148	-
სულ მიმდინარე აქტივები		166,434	290,538
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	746,640	660,298
სულ გრძელვადიანი აქტივები		746,640	660,298
სულ აქტივები		913,074	950,836
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		6,192	20,033
სესხის მიმდინარე ვალდებულება	9	-	88,169
ფინანსური იჯარის მიმდინარე ვალდებულება	10	-	92,481
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,192	200,683
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	10	-	78,976
საგადასახადო ვალდებულებები		-	15,028
გრძელვადიანი სესხები	9	670,357	157,800
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		670,357	251,804
სულ ვალდებულებები		676,549	452,487
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	-	88,200
გაუნაწილებელი მოგება		236,525	410,149
სულ კაპიტალი		236,525	498,349
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		913,074	950,836

დირექტორი:

თორნიკე ჩაგელიშვილი

7 აპრილი, 2021

ფინანსური ანგარიშგებები

შპს "არგო"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2019

	შენიშვნები	31.12.2019	31.12.2018
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	5,693	59,511
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	129,115	214,250
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	2,477	16,777
საგადასახადო აქტივი		29,148	-
სულ მიმდინარე აქტივები		166,434	290,538
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	746,640	660,298
სულ გრძელვადიანი აქტივები		746,640	660,298
სულ აქტივები		913,074	950,836
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		6,192	20,033
სესხის მიმდინარე ვალდებულება	9	-	88,169
ფინანსური იჯარის მიმდინარე ვალდებულება	10	-	92,481
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,192	200,683
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	10	-	78,976
საგადასახადო ვალდებულებები		-	15,028
გრძელვადიანი სესხები	9	670,357	157,800
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		670,357	251,804
სულ ვალდებულებები		676,549	452,487
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	-	88,200
გაუნაწილებელი მოგება		236,525	410,149
სულ კაპიტალი		236,525	498,349
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		913,074	950,836

დირექტორი:



თორნიკე ჩაგელიშვილი

7 აპრილი, 2021

შპს "არგო"
 მოგება/ზარალის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2019

	შენიშვნები	2019	2018
შემოსავალი	12	1,142,112	3,573,025
თვითღირებულება	13	(831,095)	(3,200,754)
სულ შემოსავალი		311,017	372,271
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(449,350)	(391,537)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა			(54,345)
საექვო ვალების ხარჯი			(3,732)
ფინანსური ხარჯი		(38,196)	(34,018)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(176,529)	(111,361)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის შედეგი		(176,529)	(111,361)

დირექტორი:

თორნიკე ჩაგელიშვილი

7 აპრილი, 2021

შპს "არგო"
მოგება/ზარალის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2019

	შენიშვნები	2019	2018
შემოსავალი	12	1,142,112	3,573,025
თვითღირებულება	13	(831,095)	(3,200,754)
სულ შემოსავალი		311,017	372,271
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(449,350)	(391,537)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა			(54,345)
საექვო ვალების ხარჯი			(3,732)
ფინანსური ხარჯი		(38,196)	(34,018)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(176,529)	(111,361)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის შედეგი		(176,529)	(111,361)

დირექტორი:



თორნიკე ჩაგელიშვილი

7 აპრილი, 2021

შპს "არგო"

კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2019

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
კაპიტალი 31.12.2018 მდგომარეობით	88,200	410,149	498,349
პერიოდის შედეგი	-	(176,529)	(176,529)
კაპიტალის ცვლილება	88,200		
სხვა ცვლილება კაპიტალში		2,905	
კაპიტალი 31.12.2019 მდგომარეობით	-	236,525	236,525

დირექტორი

თორნიკე ჩაგელიშვილი

7 აპრილი, 2021

შპს "არგო"

კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2019

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
კაპიტალი 31.12.2018 მდგომარეობით	88,200	410,149	498,349
პერიოდის შედეგი	-	(176,529)	(176,529)
კაპიტალის ცვლილება	88,200		
სხვა ცვლილება კაპიტალში		2,905	
კაპიტალი 31.12.2019 მდგომარეობით	-	236,525	236,525

დირექტორი



თორნიკე ჩაგელიშვილი

7 აპრილი, 2021

შპს "არგო"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2019

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(176,529)	(111,361)
ცვეთა და ამორტიზაცია	70,432	19,487
საექვო ვალების ხარჯი	-	3,732
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		54,345
კორექტირებები:		
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	61,093	(154,606)
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებში	14,300	68,470
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(12,463)	(7,760)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	(15,028)	(54,724)
ზრდა/(შემცირება) ფინანსური იჯარის ვალდებულება	(171,457)	(97,048)
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	(229,652)	(279,465)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(229,652)	(279,465)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(160,353)	(102,916)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(160,353)	(102,916)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ზრდა/(შემცირება) ინვესტიციებში	-	-
სესხის აღება	512,557	513,777
სესხის გადახდა	(88,169)	(509,001)
კაპიტალის ზრდა	(88,200)	63,000
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	336,188	67,776
წმინდა ფულის ზრდა	(53,817)	(314,605)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე		352,185
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	59,511	21,931
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	5,694	59,511

დირექტორი:

თორნიკე ჩაგელიშვილი

7 აპრილი, 2021

შპს "არგო"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2019

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(176,529)	(111,361)
ცვეთა და ამორტიზაცია	70,432	19,487
საექვო ვალების ხარჯი	-	3,732
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	-	54,345
კორექტირებები:		
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	61,093	(154,606)
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებში	14,300	68,470
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(12,463)	(7,760)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	(15,028)	(54,724)
ზრდა/(შემცირება) ფინანსური იჯარის ვალდებულება	(171,457)	(97,048)
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	(229,652)	(279,465)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(229,652)	(279,465)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(160,353)	(102,916)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(160,353)	(102,916)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ზრდა/(შემცირება) ინვესტიციებში	-	-
სესხის აღება	512,557	513,777
სესხის გადახდა	(88,169)	(509,001)
კაპიტალის ზრდა	(88,200)	63,000
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	336,188	67,776
წმინდა ფულის ზრდა	(53,817)	(314,605)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	-	352,185
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	59,511	21,931
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	5,694	59,511

დირექტორი:

თორნიკე ჩაგელიშვილი

7 აპრილი, 2021

1. შესავალი

კომპანია და მისი აქმიანობა

კომპანია არგო არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრი (ს/კ 400151009). იგი დაარსდა 2015 წლის 11 აგვისტოს. რეგისტრირებულია მისამართზე:

კომპანიის იურიდიული და ფიზიკური მისამართია საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თემის დასახლება, XI მ/რ, I კვ., კორპ. №20, ბ. 32

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი 2016 წლის 26 ივლისიდან არის თორნიკე ჩაგელიშვილი.

შპს „არგოს“ დირექტორი არის თორნიკე ჩაგელიშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღორების ყიდვა-გაყიდვის ბიზნესი.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო/ლარი	3.2095	3.0701

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) წარდგენის თარიღის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2019 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, 2019 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

დასახელება	განაკვეთი
შენობა-ნაგებობები	5%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარებებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარებები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომელიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშო თარიღისთვის არსებული ვალუტის კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი/ზარალი აისახება სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯებში.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისთვის. ყველასა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ნაკლებობის შემთხვევაში, მინიმალური საიჯარო გადასახდებელის დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდებელი ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ მოდწეულ იქნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოკლებულია მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული სხვა აქტივებისთვის, ხდება მათზე ცვეთის დარიცხვა და გაუფასურების ზარალის შეფასება.

საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს საქონლი და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს (დღგ-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით). მომხმარებლისგან მიღებული შემოსავალი აღიარდება შემოსავლად მხოლოდ მაშინ, როცა საქონელი გადაეცემა მყიდველს და დამკვეთისთვის გაწეული მომსახურება/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად შესრულდება.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (ფიფო მეთოდი) მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის მნიშვნელებზე და პირობითი ვალდებულებების მნიშვნელობაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.

ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.

ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.

ფასს 15, კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან შემოსავალი (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ეს ახალი სტანდარტი გვთავაზობს მთავარ პრინციპს, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როცა საქონელი ან მომსახურებები გადაეცემა კლიენტს, გარიგებაში ფაქტიური გაყიდვის ფასად. ნებისმიერი პაკეტით განსაზღვრული საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც განსხვავდება, ცალკე უნდა იყოს აღიარებული და საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი დისკონტი ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკე ელემენტებზე. როცა უზრუნველყოფა რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები აღიარებული უნდა იყოს, თუ მათ არ აქვთ შებრუნების მნიშვნელოვანი რისკი. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველყოფით გამოწვეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდებოდეს და ამორტიზებული იქნას პერიოდის განმავლობაში, როცა კონტრაქტის სარგებელი მოიხმარება. ეს ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 16, ლიზინგი (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ახალ სტანდარტში წარმოდგენილია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და ლიზინგების ასახვის პრინციპები. ყველა ლიზინგი იწვევს იმას, რომ მოიჯარე, იღებს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის დასაწყისშივე, და თუ იჯარის გადახდა ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16 აფასებს იჯარების საოპერაციო ლიზინგად ან ფინანსურ ლიზინგად კლასიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად, შემოაქვს ერთი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეებმა უნდა აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტ ვადიანი ლიზინგებისთვის, თუ წარმოადგენილი აქტივი დაბალ ღირებულებიანი არ არის; და (ბ) იჯარით გაცემული აქტივის ცვეთა იჯარის ვალდებულებებზე პროცენტისგან ცალკე მოგება-შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ს არსებითად გადააქვს მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნები ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს მისი იჯარების საოპერაციო ლიზინგებად ან

ფინანსურ ღიზინგებად კლასიფიკაციას, და სხვადასხვაგვარად უდგება ამ ორი ტიპის ღიზინგს. ჯგუფი ამჟამად ახორციელებს მის ფინანსური ანგარიშგებებზე ზეგავლენის შეფასებას.

ფასიკ 22 “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანაზღაურება” (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ინტერპრეტაცია ითვალისწინებს ოპერაციის თარიღის განსაზღვრის წესს უცხოურ ვალუტაში ოპერაციების შესახებ სტანდარტის გამოყენების დროს. ბასს 21. ინტერპრეტაცია გამოიყენება როდესაც საწარმო იხდის ან იღებს ანაზღაურებას წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის. ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ოპერაციის თარიღი არის დღე, რომელზეც საწარმო თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წინასწარი ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად. რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეულ გადახდასთან ან მიღებასთან დაკავშირებით. ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეული გადახდისთვის ან მიღებისთვის. არანაირი არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი ჯგუფზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2019	31.12.2018
ნადდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4,451	2,765
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	197	56,482
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,045	263
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	5,693	59,511

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	129,115	214,250
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	129,115	214,250

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები	31.12.2019	31.12.2018
საქონელი	0	10,972
ნედლეული და მასალები	2,453	3,496
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	25	2,309
სულ მარაგები	2,477	16,777

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	მანქანა- დანადგარი და სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი და სხვა ინვენტარი.	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
დირეზულება					
ბალანსი	253,978	345,209	15,881	78,572	
31.12.2018					693,640
შეძენა	140,063	81,587	17,026	61,740	300,416
ჩამოწერა	0	0	0	(140,063)	(140,063)
ბალანსი	394,041	426,796	32,907	250	853,993
31.12.2019					
ცვეთა					
ბალანსი	16,702	12,780	3,860	0	33,342
31.12.2018					
ცვეთა	10,855	-	-	-	10,855
ჩამოწერა	-	59,050	4,107	-	63,157
ბალანსი	27,557	71,830	7,967	0	107,354
31.12.2019					
ბალანსი	237,276	332,429	12,021	78,572	660,298
31.12.2018					
ბალანსი	366,484	354,966	24,940	250	746,640
31.12.2019					

სატრანსპორტო საშუალებები და მანქანა-დანადგარების მთელი ჯგუფი წარმოადგენს ფინანსური იჯარით აღებულ აქტივებს.

9. სესხები

გრძელვადიანი სესხები	31.12.2019	31.12.2018
სესხის მიმდინარე ვალდებულება	0	88,169
გრძელვადიანი სესხები	670,357	157,800
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	670,357	245,969

კომპანიის სესხი უზრუნველყოფილია მის ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთით (მცხეთა, სოფელი მუხრანი, 1,401 კვ.მ).

10. ფინანსური იჯარა

ფინანსური იჯარა	2019	2018
ფინანსური იჯარის მიმდინარე ვალდებულება	-	92,481
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	78,976
სულ ფინანსური იჯარა	-	171,457

11. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 31.12.2018 წლის მდგომარეობით შეადგენდა 88,200 ლარს. 2019 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში დამფუძნებელმა შეიტანა კაპიტალი 34,800 ლარის ოდენობით, ასევე წლის განმავლობაში მოხდა დამფუძნებლის მხრიდან კაპიტალის გატანა 123,000 ლარის ოდენობით, შესაბამისად 31.12.2019 წლის მდგომარეობით კომპანიას საწესდებო კაპიტალი არ გააჩნია.

12. შემოსავლები

შემოსავალი	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	754,947
სხვა შემოსავალი	387,165
სულ შემოსავალი	1,142,112

13. თვითღირებულება

თვითღირებულება	2019
მასალების ღირებულება	722,955
დორის საკვების ღირებულება	28,937
საწვავის ღირებულება	35,373
დანაკლისის ღირებულება	13,174
ტრანსპორტირების ღირებულება	12,672
დორის დაკვლის ღირებულება	15,809
სხვა ხარჯების ღირებულება	2,173
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	831,095

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2019
ხელფასების ხარჯი	125,138
მივლინების ხარჯი	40,507
ცვეთის ხარჯი	70,432
დაზღვევის ხარჯი	4,149
რემონტის ხარჯი	0
სხვა ხარჯები	209,125
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	449,350

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიას აქვს დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები, მენეჯმენტზე გაცემული ხელფასების გარდა აქვს დამფუძნებლის მიერ კაპიტალის შემცირების ოპერაციები. 2019 წლის მდგომარეობით მენეჯმენტზე დარიცხული და გაცემული სახელფასო ხარჯი შეადგენს 34,645.39 ლარს. ხოლო დამფუძნებლის მიერ კაპიტალი შემცირდა - 123 000 ლარით.

16. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 10 აპრილს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.